

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2015 წლის 9-10 თვის ეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების შედეგებიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა ბიუჯეტის შემოსულობების კორექტირება და საბიუჯეტო სახსრების გადანაწილება ბიუჯეტის გადასახდელებში არსებული საჭიროებების მიხედვით.

2015 წლის 9-10 თვის ფაქტიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ეკონომიკური ზრდის პროგნოზებისა და საგასახადო შემოსავლების დინამიკის გათვალისწინებით საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 120.0 მლნ ლარით და განახლებული პროგნოზი შეადგენს 7 520.0 მლნ ლარს, ასევე იზრდება პრივატიზაციიდან მისაღები შემოსულობები 45.0 მლნ ლარით, ხოლო შემოსულობების სხვა სახეები კორექტირდება შესრულების ტენდენციის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ვალის აღების მაჩვენებელი მცირდება 293.0 მლნ ლარით, მათ შორის სახაზინო ვალდებულებების სახით მისაღები შემოსულობები მცირდება 185.0 მლნ ლარით, ხოლო საგარეო წყაროებიდან მისაღები კრედიტები მცირდება 108.0 მლნ ლარით.

ჯამში ბიუჯეტის შემოსულობები მცირდება (ვალის შემცირების ხარჯზე) 155.0 მლნ ლარით და შეადგენს 9 745.0 მლნ ლარს.

გადასახდელების ნაწილი იზრდება 45.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 9 620.0 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისათვის დამატებითი რესურსის მოზიდვის საჭიროებით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ შენარჩუნდეს საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებელი და პარალელურად უზრუნველყოფილი იქნეს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

##### ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

## ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტში შემოსულობების ნაწილი პირველ წარდგენასთან შედარებით არ შეცვლილა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 9 745.0 მლნ ლარით, კერძოდ:

- **საგადასახადო შემოსავლების** გეგმა იზრდება 120.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 7 520.0 მლნ ლარით. აღნიშნული პროგნოზი ეფუძნება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ფაქტიური მონაცემებიდან გამომდინარე წლიური პროგნოზის 2%-დან 2.8%-მდე ზრდასა და საგადასახადო შემოსავლების შესრულების დინამიკას.
- **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მოცულობა, ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით მცირდება 5.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 290.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის ფაქტიური შესრულების გათვალისწინებით შემცირდა ჯარიმებიდან მიღებული შემოსულობები
- **გრანტების** სახით დაგეგმილი შემოსავლები მცირდება 17.0 მლნ ლარამდე, მათ შორის:
  - ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების მოცულობა მცირდება 20.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით რომ ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების მაკროფინანსური დახმარების პროგრამიდან (MFA) ჩამორიცხვამ გადაიწია შემდეგი წლისათვის;
  - საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტების მოცულობა იზრდება 3.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროექტების ათვისების ტენდენციით;
- **ვალდებულებების ზრდის** მაჩვენებელი მცირდება 293.0 მლნ ლარით, მათ შორის:
  - მცირდება საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა 185.0 მლნ ლარით;
  - საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტები მცირდება 35.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების მაკროფინანსური დახმარების პროგრამიდან (MFA) ჩამორიცხვამ გადაიწია შემდეგი წლისათვის;
  - დონორების მიერ კონკრეტული პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები მცირდება 73.0 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ამ პროექტების ფარგლებში თანხების ათვისების ტენდენციასთან. თუმცა აღსანიშნავია, რომ თანხების ჩამორიცხვა გაგრძელდება შესაბამისი სამუშაოების შესრულების პარალელულად და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ზრდა;
- **არაფინანსური აქტივების კლებით** მისაღები შემოსულობები იზრდება 45.0 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია ამ ტიპის შემოსულობების დინამიკის გათვალისწინებით წლის ბოლომდე მისაღები შემოსულობების ასახვით;
- **ფინანსური აქტივების კლებიდან** დაგეგმილი შემოსულობები მცირდება 5.0 მლნ ლარით, შესრულების ტენდენციის გათვალისწინებით.

## **ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ასიგნებებზე**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტში გადასახადების ნაწილი გაზრდილია დამატებით 15 მლნ ლარით და ბიუჯეტის გადასახდელები ჯამურად იზრდება 45.0 მლნ ლარით. წარმოდგენილი ცვლილებების მიხედვით:

- ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 96.0 მლნ ლარით, „ჯანმრთელობის საყოველთაო დაცვის“ პროგრამის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით;
- რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება მცირდება 76.0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში 15.0 მლნ ლარით, ხოლო საინვესტიციო კრედიტების ნაწილში 64.0 მლნ ლარით, ამასთან საინვესტიციო გრანტების ნაწილში იზრდება 3.0 მლნ ლარით;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება ჯამში მცირდება 5.0 მლნ ლარით (მათ შორის ლიზინგის ვალდებულების დასაფინანსებლად ემატება 4.0 მლნ ლარი, ხოლო ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) მცირდება 9.0 მლნ ლარით);
- 15.0 მლნ ლარით იზრდება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი, წლის ბოლომდე არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით („საქართველოს სპორტსმენტა ხელშეწყობის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, მიღწეული შედეგების მიხედვით სპორტსმენტა დაჯილდოებისთვის საჭიროა 7.0 მლნ ლარამდე).
- 15.0 მლნ ლარით იზრდება „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი“, რაც გამოწვეულია წინა წლებში წარმოქმნილი საერთაშორისო დავების დასრულების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვით.

წარმოდგენილი ცვლილებების შედეგად წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტი დააგროვებს 125.0 მლნ ლარს, ნაცვლად 325.0 მლნ ლარისა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის 1986 წლის კლასიფიკაციის მიხედვით, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში დეფიციტის მაჩვენებელი უცვლელი რჩება.

**ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

**ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს.

**გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება არცერთ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტს.

**გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**  
კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება არცერთ ევროკავშირის დირექტივას.

**გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ არცერთ ვალდებულებას.

**გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხივ ხელშეკრულებებთან**

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ არცერთ ვალდებულებას.

**დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**  
წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითადი პარამეტრები შეთანხმებული იქნა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან (მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან);

**დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ**

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

**დ.გ) კანონის პროექტის ავტორი**

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი**

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.